



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო
უნივერსიტეტი
წლიური ანგარიში
2015-2016
სასწავლო წელი



შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი _____	3
სამართლის ფაკულტეტი _____	5
ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი _____	7
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური _____	9
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური _____	12
იურიდიული სამსახური _____	15
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური _____	17



ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ნაწილში აღსანიშნავია, რომ შესრულდა ყველა დასახული მიზანი.

კერძოდ,

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაციის პროცესი;
- 2015 წელი ნაყოფიერი იყო სტუდენტური აქტივობების კუთხით. კერძოდ, დაარსდა პოლიტიკის კლუბი გვანცა აბდალაძის ხელმძღვანელობით, რომლის ორგანიზებით განხორციელდა საჯარო ლექცია „ჩვენი ევროპული არჩევანი“, მომხსენებელი ირაკლი მალანია. ასევე, აქტიურობდა სტუდენტ თეოლოგთა კლუბი, რომელთა ორგანიზებითა და ინიციატივით განხორციელდა საჯარო ლექციები და სემინარები. მოეწყო მამა გურამ ოთხოზორიას წიგნის პრეზენტაცია;
- გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. კონკურსის საფუძველზე დაინიშნა პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და მოწვეული პერსონალი;
- წეროვანში, მარიკა ჯულუხაძის ხელმძღვანელობით გაიმართა ბიბლიის საზაფხულო სკოლა; თეთრიწყაროში, ალექსანდრა მარგველაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა თეოლოგიური ბანაკი;

სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა კურიკულუმის მიღმა აქტივობები, როგორებიცაა:

- გენდერული თანასწორობა და მასთან დაკავშირებული საკითხები,
- ირინე ჟვანია; „ტურიზის სუდარა“, მომხსენებელი მამა პიერ დიუმულენი;
- მხოლოდ ღმერთი, მისტიკა, როგორც ღვთის სიყვარული ისლამსა და ქრისტიანობაში, ბერნარდ უდე;
- პოლიტიკის კლუბი „სტალინიზმი-წარსულის გაკვეთილები“, ბონდო კუპატაძე;
- სტუდენტ თეოლოგთა კლუბი, ბიოეთიკა, ევთანაზია და ინ-ვიტრო განაყოფიერება;
- პოლიტიკის კლუბი, გალი - რუსული გულაგი;



- მონპელიეს პოლ ვალერი სახელობის უნივერსიტეტის, ფილოსოფიისა და ფსიქოანალიზის პროგრამის მაგისტრის დავით კახაბერის საჯარო ლექცია „რელიგია და ფსიქოანალიზი“;
- პოლიტიკის კლუბის საქმიანობის პრეზენტაცია;



სამართლის ფაკულტეტი

2015- 2016 სასწავლო წელი შემოქმედებითად მიმდინარეობდა. საშემოდგომო სემესტრში, სამართლის ფაკულტეტზე 11 სტუდენტი გადმოვიდა გარე მობილობის წესით, ხოლო 10 სტუდენტი-შიდა მობილობით.

სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროგრამების განახლების პროცესში. სამართლის საბაკალავრო პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, ხოლო სამართლის სამაგისტრო პროგრამას დაემატა „სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია“.

სამართლის ფაკულტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტების ჩასართავად უნივერსიტეტთაშორის შეჯიბრებში, რათა უნივერსიტეტის ცნობადობა გაზრდილიყო და ამავდროულად, სტუდენტებს ახალი უნარ-ჩვევები განეცოთარებინათ.

მნიშვნელოვანი იყო, EWMI JILEP - ის დაფინანსებით გამართული საქართველოს რიგით მეოთხე შეჯიბრება ადვოკატების უნარ-ჩვევებში სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომელშიც საბაუნიც ჩაერთო. საბაუნის სამართლის სტუდენტებმა ასევე გამორჩეულად იასპარეზეს UNICEF - ის მიერ დაფინანსებულ იმიტირებულ სასამართლო პროცესზე სისხლის სამართალში.

2016 წლის საგაზაფხულო სემესტრის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო Erasmus + პროგრამის ფარგლებში, ლუბლინის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების პროფესორის, ქალბატონი კინგა სტასიაკის ვიზიტი საბაუნში, რომელმაც 17, 18 და 19 მაისს ჩაატარა ინტერაქციული სემინარები სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის. ლუბლინის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ამ კუთხით სამომავლოდაც იგეგმება.

საგაზაფხულო სემესტრში სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით რამდენიმე სასწავლო ვიზიტი განხორციელდა სტუდენტებისთვის. სტუდენტებისთვის ძალიან სასარგებლო იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ვიზიტი. პირველ კურსელები ეწვივნენ ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც ადგილზე გაეცნენ სასამართლოს მუშაობის



სპეციფიკას. სასამართლოს თანამშრომელმა სტუდენტებს უამბო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ, მოკლედ ისაუბრა ყველაზე ხმაურიან საქმეებზე.

ფაკულტეტის ორგანიზებით ასევე დაიგეგმა ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სადაც სტუდენტებმა საინფორმაციო ტურის ფარგლებში დაათვალიერეს და ადგილზე გაეცნენ სხვადასხვა სამსახურების მუშაობას. ტურის ფარგლებში, მათ პრეზენტაციის სახით გააცნეს აკადემიის ისტორია, შემდეგ კი მოინახულეს იმიტირებული ტირის, სასროლეთის, საბაჟოს პუნქტები, სადაც წვრთნებს გადიან აკადემიის კურსანტები და სტუდენტები.

საგაზაფხულო სემესტრშიც აქტიურად ტარდებოდა საჯარო ლექციები სხვადასხვა თემატიკაზე, როგორებიცაა: „სექსუალური ძალადობა არასრულწლოვნებზე და მოწყვლად ადამიანებზე“, „სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა და სოციალური რეფორმები“ „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გავლენა ქართველ მომხმარებლებზე“ და ა.შ.



ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი

2015-2016 წწ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები. პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის მიზნით გაიმართა ფაკულტეტის საბჭოს 5 სხდომა, სადაც განხილული იყო სასწავლო პროგრამების მოდიფიცირების საკითხები. კერძოდ.

- ცვლილებები შევიდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის პროგრამებში: კურიკულუმები და სილაბუსები გადავიდა ახალ ფორმაში და ძირეულად შეიცვალა შეფასების სისტემა. კერძოდ, ნაცვლად შეფასების ქულათა საშუალო არითმეტიკული გამოთვლისა, ამოქმედდა ქულების დაგროვების პრინციპი, ხოლო მიმდინარე შეფასებების რაოდენობა ყოველი სასწავლო კურსისთვის მიეთითა შესაბამის სილაბუსებში;
- შემუშავდა დამატებითი სპეციალობის პროგრამა „მენეჯმენტი ტურიზმისთვის და „ტურიზმი“ („ბიზნეს ადმინისტრირებისთვის“);
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას დაემატა დამატებითი სპეციალობის პროგრამები: ინტერკულტურული კომუნიკაცია; ტურიზმი, თეოლოგია (მათ მოცულობა - 60 კრედიტინი მოიაზრება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში);
- განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, როგორც სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების თანაფარდობაში, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობასა და საკონტაქტო და დამუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობაში;
- გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების წინაპირობები;
- შეიცვალა პროგრამების სწავლის შედეგები და შემოწმდა მათი შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებთან.



აღსანიშნავია, რომ 2016 წლის აპრილში უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო - პრაქტიკული ონლაინ კონფერენცია „თანამედროვე ეკონომიკური სივრცის ფორმირება: უპირატესობები, რისკები, რეალიზების მექანიზმები.“ კონფერენციის პარტნიორი იყო უკრაინის შავიზღვისპირეთის ეკონომიკისა და ინოვაციების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი შედგებოდა პოლონეთის, მოლდავეთის, მაკედონიის, ლიტვის, გერმანიის, უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლებისგან, ამავე ქვეყნების წარმომადგენელთა ნაშრომებით გამოიცა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული.

ამავე პერიოდში ფაკულტეტზე ორჯერ ჩატარდა აკადემიური კონკურსი პროგრამებში შეტანილი ცვლილებების საჭიროებებიდან გამომდინარე.



საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2015 -2016 სასწავლო წელს საბაუნში განხორციელდა რამდენიმე საერთაშორისო პროექტი. 2015 წლის შემოდგომის სემესტრზე, უკრაინის კათოლიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ფონდის, რენოვაციისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს (German Federal Foreign Office) მხარდაჭერით დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი სამთვლიანი პროექტი „ ახალი იდეები ახალი ძალებით: „ სოციალური ცვლილებები პოსტ კომუნისტურ ქვეყნებში, მიმდინარე რეფორმები (უკრაინა და საქართველო) “New Ideas with New Powers: Social Changes in the Post-Communist Countries Undergoing Reform (Ukraine and Georgia)” რომელიც ითვალისწინებდა თითო კვირიან სემინარებისა და ვორქშოპების ციკლს და 3 ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ორივე უნივერსიტეტში. პროექტის მიზანი ტრენინგებისა და კურიკულუმების პროგრამის განვითარებასთან ერთად იყო განათლების, საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, სასამართლო, და საკანონმდებლო სფეროებში განხორციელებული რეფორმების შესახებ გამოცდილების გაზიარება

პროექტის ფარგლებში:

12-17 ოქტომბერს საბაუნში ჩატარდა სემინარების ციკლი „სამართლიანობა, როგორც მშვიდობისა და განვითარების წინაპირობა“, 5 დღის განმავლობაში სხვადასხვა ქართველი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას დამსწრე საზოგადოებას, რომლის ნაწილს, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის პერსონალი წარმოადგენდა. მომხსენებლებს შორის იყვნენ: (ირაკლი ალასანია (ყოფილი თავდაცვის მინისტრი), გია ნოდია (ყოფილი განათლების მინისტრი), ზურაბ ჭიაბერაშვილი (ჯანდაცვის თემაზე) და სხვა დარგის წამყვანი სპეციალისტი. დღის პირველი ნაწილი ეთმობოდა მოხსენებებს, ხოლო მეორე ნაწილში ჯგუფებში განიხილავდნენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს.

12-19 დეკემბერს საბაუნის დელეგაცია (20 ადამიანი) სტუმრობდა უკრაინის კათოლიკურ უნივერსიტეტს, სადაც გაიმართა შეხვედრების ციკლი „საუნივერსიტეტო განათლება სოციალური განახლებისათვის“. შეხვედრები ძირითადად მიმდინარეობდა კითხვა-პასუხების რეჟიმში.



ამავე პროექტის ფარგლებში საბაუნის სტუმრობდა უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის სამი წარმომადგენელი. საბაუნიდან უკრაინაში წარგზავნილები იყვნენ, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, თამარ გვიანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურიდან შორენა პარუნაშვილი და გვანცა აბდალაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

29 მარტი - 1 აპრილი - გერმანიისა და ავსტრიის თეოლოგიურ სასწავლებლებთან თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ბერმონაზვნობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი სტუდენტები და პროფესორები, ასევე, ავსტრიისა და გერმანიის სასწავლებლების სტუდენტები.

2015-2016 აკადემიური წლიდან საბაუნი ჩაერთო ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში Erasmus+ KA107 ICM საერთაშორისო კრედიტ მობილობაში ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკურ უნივერსიტეტთან ერთად.

ამ პროექტის ფარგლებში გავაგზავნეთ:

2 სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი -სალომე ქარცივაძე და რამაზ რაზმაძე

1 ადმინისტრაციული მობილობა -საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურიდან შორენა პარუნაშვილი.

2 ჩამომსვლელი მობილობა (აკადემიური და ადმინისტრაციული)

ამავე წელს, უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვაჟა ვარდიძე ლექციებს კითხულობდა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში როგორც მოწვეული პროფესორი (ერთი აკადემიური წლის მანძილზე)

19-21 ნოემბერს, საბაუნის დელეგაცია, რექტორი, პროფ. ვაჟა ვარდიძე, სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ზვიად როგავა და დეკანის თანამემწე, ნინო პატარაია იმყოფებოდნენ ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკურ უნივერსიტეტში, სადაც დაესწრნენ საერთაშორისო კონფერენციას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემის გამოცდილება და პრობლემები ევროპულ საგადასახადო სისტემასთან მორგების კონტექსტში“

მემორანდუმები:



1. კრაკოვის იოანე პავლე მეორის პონტიფიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
2. ფრაიბურგის ინტერრელიგიური კვლევების ინსტიტუტი (გერმანია)



სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2015-2016 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, 2015 წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლა დაიწყო 21 სექტემბერს. (აუდიტორიული მეცადინეობები 21 სექტემბერი -16 იანვარი) .

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სწავლის დაწყებამდე ჩატარდა მოსაზრებელი სამუშაოები: პირველკურსელთა რეგისტრაციისთვის დაიბეჭდა ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რომელთა შევსებაც აუცილებელია პირველკურსელის სრული რეგისტრაციისთვის.

პირველკურსელთა რეგისტრაციაზე გამოცხადებული სტუდენტებიდან საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხა 353 სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ჩაირიცხა 58 სტუდენტი.

2015-2016 სასწავლო წელს შიდა მობილობით ისარგებლა 34 სტუდენტმა ხოლო გარე მობილობით გადმოვიდა 39 სტუდენტი.

ელექტრონულ ჟურნალში გატარდა სტუდენტებთან დადებული განათლების მომსახურების ხელშეკრულებები, ჟურნალი დაიხურა და აიკინდა 2015 წლის 29 ოქტომბერს 88 ფურცლად.

2015 წლის საშემოდგომო სემესტრის შუალედური გამოცდები დაიწყო 9 ნოემბრიდან და გაგრძელდა 21 ნოემბრამდე. ჩატარდა, როგორც წერითი ასევე ზეპირი გამოცდები.

სემესტრის დაწყებიდან დასრულებამდე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შემოსული განცხადებების საფუძველზე გასცა ცნობები, როგორც სტუდენტის სტატუსის შესახებ ასევე ფორმა 26. ცნობები გაიგზავნა მოთხოვნის შესაბამისად.

ასევე აკადემიური კალენდრით განისაზღვრა დასკვნითი და დამატებითი დასკვნითი გამოცდების ცხრილი.

დასკვნითი გამოცდები ჩატარდა 25 იანვრიდან, 6 თებერვლის ჩათვლით.

დამატებითი დასკვნითი გამოცდები 8 თებერვლიდან, 20 თებერვლის ჩათვლით.

2015-2016 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში სწავლა დასრულდა 20 თებერვალს.



2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი დაიწყო 29 თებერვალს, რომელიც გაგრძელდა 18 ივნისის ჩათვლით. საშემოდგომო სემესტრში მიმდინარე პროცესები იდენტურია საგაზაფხულო სემესტრში მიმდინარე პროცესებისა. მოხდა სტუდენტების რეგისტრაცია საგნებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, აიტვირთა ლექცია-სემინარების ცხრილი. საფინანსო სამსახურს მიეწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტებზე რეგისტრირებული სტუდენტების სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით. დაიგეგმა და განხორციელდა შუალედური გამოცდები რომელიც მიმდინარეობდა 18-30 აპრილის პერიოდში.

ფინალური გამოცდები აკადემიური კალენდრით მიმდინარეობდა 27 ივნისიდან, 9 ივლისის ჩათვლით.

2015-2016 სასწავლო წელი დასრულდა 23 ივლისს.

სემესტრის დასრულებისთანავე დაარქივდა მიმდინარე სემესტრში აქტიური სასწავლო კურსები დაიბეჭდა და ელექტრონულად გატარდა მიმდინარე სემესტრის უწყისები, დეკანატებს გაეგზავნათ რეიტინგული სიები.

2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის უწყისების რეგისტრაციის ჟურნალი დაიხურა 2016 წლის 22 ივლისს 22 ფურცლად, ხოლო საშემოდგომო სემესტრის 2016 წლის 26 თებერვალს 17 ფურცლად.

2015-2016 სასწავლო წელს სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 101 სტუდენტს აქედან:

1. თეოლოგიის ბაკალავრი - 17
2. თეოლოგიის მაგისტრი - 5
3. სამართლის ბაკალავრი - 46
4. სამართლის მაგისტრი - 33





იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

2015-2016 სასწავლო წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

№	შემუშავდა	ცვლილებები შევიდა
1	ბლანკის ფორმა, აქტის მომზადება	
2	ბეჭდის შეცვლის შესახებ ბრძანების მომზადება	
3	დიპლომის ახალი ფორმა, აქტის შემუშავება	





საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ძირითადი მოვალეობა იყო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების მენეჯმენტი, მათი ინიცირება ღონისძიებების მედია მხარდაჭერა სოციალურ მედიის მეშვეობით, ამასთანსამსახური უზრუნველყოფდა სხვადასხვა მარკეტინგული მასალების დამზადებასა და გავრცელებას. სამსახურმა ორგანიზება გაუწია კურსდამთავრებულების გამოსაშვებ სადამოს და პირველკურსელთა წვეულებას. ასევე სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა საზაფხულო Pool party ჯინოში ფარდაისში. მოეწყო რამდენიმე შემეცნებითი ტური ტექნოპარკსა და სხვადასხვა საწარმოებში, საზოგადოებრივი აქტივობები როგორცაა სტუმრობა კათარზისში და ა.შ

Presentation of Student Project Competition
საქველმოქმედოკონცერტი
“Refuges and the way of solution their problem by UN”, speaker, expert Tamar Kashavidze (UN office in Georgia)
ვიზიტისაქართველოსპარლამენტში
ტრენინგორგორდავწეროთკარგიპროექტი (სტუდენტებისათვის)
საქართველოსეროვნულიანტიკორუფციულიპოლიტიკადასაჯარო
სამსახურისრეფორმა, საქართველოსიუსტიციისსამინისტროსწამომადგენლებისსაჯაროლექცია/შეხვედრა
საერთაშორისოკონფერენცია „ბერნონაზვნობაადმოსავლეთსადადასავლეთში“ ორგანიზებულიავსტრიისთეოლოგიურისასწავლებლისმიერ
ლალიმოროშკინასსაჯაროლექცია
არასამთავრობოორგანიზაცია - სიცოცხლისგადასარჩენად , პრევენტაცია
Pool Party – Gino Paradise - ში
სტუდენტებისვიზიტისშემოსავლებისსამსახურში
შემეცნებითიტურიტექნოპარკში
-იმიტირებულისასამართლოპროცესებისშეჯიბრება, სისხლისსამართლისმიმართულებით (ორგანიზებულიჩვენისტუდენტებისმიერ, სტუდენტურიპროექტებისფარგლებშიდაფინანსებული)
-საბაუნისსტუდენტებისვიზიტისიუსტიციისსასწავლოცენტრში
იურისტსტუდენტაკლუბისმიერორგანიზებულიდიმიტრიგეგენავასსაჯაროლექცია
თიბისიბანკისთანადამფუძნებელი, პაატაღამაძისსაჯაროლექცია „გზაწარმატებისაკენ“
კონსტიტუციონალიზმისცენტრისდაფუძნება
-სტუდენტურიპროექტი „რაჭა - ჩემისიყვარული“



ტურიზმის პროგრამის სტუდენტების მიერ ორგანიზებული. დაფინანსებული სტუდენტური პროექტების ფარგლებში (საბაუნის მიერ)
რელიგიათმცოდნეობის კონფერენცია
სტუდენტური შეხვედრები თითოეულ თვეში - City Game
დებატკლუბის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - დებატები - დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი
ეკუმენტური შეხვედრების ციკლი - გაიმართას ხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გულმოდგინების თემაზე.
ელენე ხვლედიანის მუზეუმის მონახულება
საერთაშორისო პლატფორმის - ორბელიანის საქართველოს პრეზენტაცია
სასწავლო ტურიპოლიციის აკადემიაში
საზაფხულო ბანაკი ბორჯომის ნაკრძალში
ბიბლიის სკოლა ბაკურიანში
კვლევითი ცენტრის „ორბის“ პრეზენტაცია
პირველ კურსელების წვეულება
გამოსაშვების აღამო
ნაზიბ როლაჩინჩაღის თარგმნილი წიგნების პრეზენტაცია
დავით კენჭაძის საჯარო ლექცია - მასტერკლასი
ახალი ბრენდბუქი და ლოგოტიპის შექმნა
ახალისაიტის დამზადება